

გ ა ჯ ე თ ი ღ ი რ ს :			
თვე	ნაწ.	თვე	ნაწ.
12.	10	6	6
11.	9 50	5	5 50
10.	8 75	4	4 75
9.	8	3	3 50
8.	7 25	2	2 75
7.	6 50	1	1 50

ივერია



რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21
ტიფლისი.
გაზეთის დასაბამად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა.
გამაგრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ., მეოთხედზე—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ამ ნომერში თექვსმეტი გვერდი

ქართული თეატრი

სუთშაბათს, 22 ნოემბერს, 1901 წ.

ქართულის დრამატული საზოგადოების დანის მიერ
წარმოდგენილი იქნება:

ტასო ზგაშიძის საგანაწიფისოდ

3. აბაშიძისა და სხვათა მონაწილეობით პარველად ახალი პიესა

სანაშრელი სოლი

კომედია 3 მოქმედებად, მარკო პრავასი, თარგ. ავ. ცაგარლისა

პარიზელი კინტო

კომედია 2 მოქ. ბაიარისა, თარგ. მ. ჯორჯაძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, კარ-
გარეთელისა, ნებიერიძისა და სხვნი; ბ-ნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონი-
ძე, გამყრელიძე, გვდევანოვი, შათირიშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი,
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.
რეჟისორი ვ. გუნია
მზადდება „კოროლევის მორთული ოთახები“, „შვილის ცოდვას-
თვის“ (1—უ.—3)

გაგზავნება მოწვევის ბარათი სა-
ზოგადო კრებაში მონაწილეობის
მისაღებად.
გამგე ს. ქვიშვილი.
(5—6.—5).

მ კ უ რ ნ ა ლ ი
მიხაილ ვალდანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დღით—
12—1, საღამოთი 6—7. ყორღა-
ნოვის ქუჩა, 16, საქ. სახლი. ტე-
ლეფ. 791. (6.)

პირველი კერძო
სამკურნალო
ვაიფის ნავასარდიანისა
ქუჩაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-
დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ :
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს.
სადისტაქრო, ვენერული (სიფილი-
სი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
შ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ
სნეულდანი: თვალისა, შინაგანი და
ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანი. დღის 11
—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სე-
ნით ავადმყოფებს.
კ. ი. შაქლიშვილი. 12—1 საათ.
ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყო-
ფობისა.

ა. ვ. ძაბაბანიანი. 1—1/2 ს.
შინაგანისა და ბავშვებისა.
ს ა ლ ა მ ო ბ ი თ :
ბ. ნ. როსტომოვი. 5—6 ს.
საქირურგო და კანისა.
ა. ნ. შაპოვსკი. 6—7 ს.
ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), ში-
ნაგანი და ვენერიულ ავადმყო-
ფობათა.

ბ. ა. თახანოვი. შინაგან და
ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7/2 ს.
ს. ტ. არვანიძე. 11—1 ს.
გაუკეთებს სახლში მსურველთ „მას-
საჟს“, აუტრის ყვავილის და გამარ-
თავს საექიმო გემნასტიკას ექიმის
დანიშნით.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7/2—8 ს.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწე-
რის ფასი ათი შუბრი. ღარიბთათვის უფა-
სოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციები-
სათვის—მორიგებით.
ღირექტორი სამკურნალოსი დოქტ-
ორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი .
Первая частная лечебница—Д-ра
Навасардиана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ქართულთა ქალთა
აზნაგოვის
სამკურნალო და სახელოსნო სკო-
ლაში იღებენ ყოველგვარ **საქა-
რავს:** კაბებს, თეთრეულს, ქარგვას
და სავსებებს ამოკერავენ ნიშნებს
(МЪТКИ). ბარონის ქუჩა, № 12.
(20—უ.—5)

მთავრობის განკარგულება
სავალდებულო დადგენილება
ქალაქ ტფილისისათვის.

სახელმწიფო წეს-რიგისა და საზოგადო
მშვიდობიანობის დაცვის დებულების
მე-15 მუხლის თანახმად, კავკასიის მთა-
ვარ-მართველმა ამა წლის 15 ნოემბერს
გამოსცა შემდეგი სავალდებულო დადგე-
ნილება ქალაქ ტფილისისათვის:

პირველი მუხლი
სახელმწიფო წეს-რიგისა და საზოგადო
მშვიდობიანობის დაცვად ტფილისის
სახლის პატრონებს ან იმათ მოურავებს
ვალდებულებათ:
პუნქტი 1. სასტუმროების პატრონე-
ბმა უნდა აცნობონ 12 საათის განმავლო-
ბაში პოლიციის ადგილობრივ გამგეობას
ყველა იმ პირთა შესახებ, რომელნიც გა-
ჩერდებიან სასტუმროში ან წავლენ სა-
სტუმროდან.
პუნქტი მე-2. სახლის პატრონებმა ან
იმათ მოურავებმა, სახაზინო და საზო-
გადო დაწესებულებათა სახლებში კი სა-
პასპორტო ნაწილის გამგეობა, 24 საათის
განმავლობაში უნდა აცნობონ პოლიციის
ადგილობრივ გამგეობას ყველა იმ პირთა
შესახებ, რომელნიც დადგებიან ან წავლენ
იმათ სახლებიდან.

მეორე მუხლი
მომსვენლო და წამსე-
ლოთა შესახებ ცნობები უნდა იწერე-
ბოდეს ბლანკებზე, რომელთა ფორმას
შემიუშვებს ტფილისის გუბერნატორი.
პუნქტი მე-3. ყველა იმ პირთ, რომე-
ლთაც მე-2 პუნქტში მოხსენებულ სახლე-
ბში ბინა აქვთ დაქირავებული, უნდა გა-
ნუცხადონ 18 საათის განმავლობაში სა-
ხლის პატრონთ ან იმათ მოურავთ, ვინ
დადგა იმათ ბინაზე ან ვინ წავიდა.
პუნქტი მე-4. სახლის პატრონები ან
იმათ მოურავები, სასტუმროების პატრო-
ნები და სახაზინო სახლების საპასპორტო
ნაწილის გამგეონ ვალდებული არიან სწო-
რედ შეადგინონ ხოლმე მდგმურების ჩასა-
წყერი წიგნები.
მე-5 მუხლი ამ წიგნის ფორმას შეა-
დგენს ტფილისის გუბერნატორი

მე-6 მუხლი
პუნქტი 1. სახლის ან სხვა უძრავ ქო-
ნების პატრონები, ან იმათი მოურავები
ვალდებული არიან აცნობონ პოლიციის
ადგილობრივ გამგეობას:
ა) ყოველივე არა ჩვეულებრივი შემთ-
ხვევა,
ბ) ყოველივე საეკვე ყრილობა სახლში,
გ) გადამდებ სენის გაჩენა ადამიანსა ან
პირუტყვზე,
დ) ვინმეს გარდაცვალება სახლში,
ე) ჩხუბი და ყოველგვარი დარღვევა წე-
სიერებისა და მშვიდობიანობისა,
ვ) ცნობები იმ ქონების შესახებ, რომ-
ელიც დარჩა გარდაცვალებულს, გაქცე-
ულს, ან დაკარგულს მდგმურს და
ზ) ცნობები მათხვართა შესახებ.

პუნქტი მე-2. სახლის პატრონები, ან
იმათი მოურავები და სასტუმროს პატრო-
ნები ვალდებული არიან თვალ-ყური ადე-
ვნონ, რომ მათ სახლებში არ იქმნას სა-
იდუმლო სტამბა, არ ინახებოდეს ასაფე-
თქმელი მასალა და არ იყოს მთავრობის
საწინააღმდეგო გამოცემთა საწყობი. მიწის
მუშაობა-გათხრა ეზოებში, პოლიციის და-
უკითხავად, აკრძალული უნდა იქმნას.
მე-3 მუხლი
პუნქტი 1. სავალდებულო დადგენი-
ლებათა ასასრულებლად სახლის პატრო-
ნები, ან სხვა უძრავ მამულების პატრო-
ნები ვალდებული არიან იყოლიონ მე-
ზობები.

პუნქტი მე-2. მცირე მამულების პატ-
რონთ, რომელთაც ცოტა შემოსავალი
აქვთ, პოლიციისტრის ნება-რთვითა და
გუბერნატორის თანხმობით, ნება მიეცემათ
შვერთდენ რამდენიმე მეზობელთან და
საერთოდ იყოლიონ მეზოვე. სულ მცირე
მამულის პატრონთ აგრეთვე ნება მიეცემათ
პოლიციისტრისა და გუბერნატორისაგან
თვით აღასრულონ მეზოვეს ვალდებულებ-
ანი.

მე-4 მუხლი
პუნქტი 1. მეზოვეები და შვიტ-
რები ვალდებული არიან დაეხმარონ
პოლიციასა და სახლის პატრონთ სახ-
ლებში წესიერების დაცვისა და ზემო-
სხენებულ ცნობათა შეგროვების საქმეში;
ვალდებული არიან აგრეთვე აღასრულონ
პოლიციის ყოველგვარი მოთხოვნილებანი
წესიერებისა და მშვიდობიანობის დასაცე-
ლად.
პუნქტი მე-2. სახლის პატრონები ან
მათი მოურავები ვალდებული არიან, პო-
ლიციისტრის მოთხოვნილების თანახმად,
დაუყოვნებლივ დაითხოვონ ხოლმე სასა-
ხურიდგან არა კეთილ-სამიშველ მეზოვეები
და სხვები აიყვანონ იმათ მაგიერ.

მე-5 მუხლი
პუნქტი 1. სახლის პატრონები ვალ-
დებული არიან წესიერების დასაცვლად
დააწესონ მეზოვეთა მორიგეობა ქუ-
ჩებში.
მე-6 მუხლი მეზოვეთა მორიგეობის
წეს-რიგს შეადგენს პოლიციისტრი.
პუნქტი მე-2. მორიგების დროს მე-
ზოვე თავისუფალი უნდა იყოს სხვა ყო-
ველგვარ საქმისაგან.
პუნქტი მე-3. მორიგე მეზოვე ვალდე-
ბულია დაეხმაროს ყოველ კერძო პირს,
რომელიც მას შევლას მოსთხოვს; და
უნდა აღასრულოს ყოველი კანონიერი მო-
თხოვნილება პოლიციისა.

პუნქტი მე-4. მორიგ მეზოვეს უნდა
ქონდეს გულზე დაკიდებული ნიშანი, რომ-
ელსაც შემოიღებს გუბერნატორი.
პუნქტი მე-5. მორიგე მეზოვე ვალდე-
ბულია აღასრულოს ყველა საქმე იმ წესზე,
რომელიც დადგენილი იქნება პოლიციე-
სტრის განსაკუთრებულ ინსტრუქციაში.

მე-6 მუხლი
ის, ვინც ამ სავალდებულო დადგენი-
ლებას არ აღასრულებს, აღმინისტრატუ-
ლის წესით იქნება დასჯილი: გადახდება
ჯარიმა 500 მინათამდე, ან დაპატიმრე-
ბულ იქნება 3 თვემდე. ამ სასჯელთა
დადგება ევალება ტფილისის გუბერნა-
ტორს.

მე-7 მუხლი
ეს სავალდებულო დადგენილებანი ძა-
ლში 1902 წლის 15 იანვრიდან შევა.

ოსმალეთის სომხეთა საქმე.
თუ სომხის ერმა ევროპის ყუ-
რადლება დაიმსახურა, იმის უმთავ-
რესი მიზეზი განხილეთ ის, რომ
თვითონვე შესწივლა იქაურ სახელ-
მწიფო მოღვაწეებს თავისი გაჭირ-
ვება, რომელიც თავს დაატყდა,
თუ დაიტყნა ოსმალეთის მთავრო-
ბისაგან. შესწივლა თავის გულ შე-
მატყვიარ შეილთა პირითა და კი-
დეც მოახედა თავისკენ ზოგჯერ
გულქვა ევროპა. თორემ მართო
წინაპართა გონებრივი და ზნეო-
ბრივი ავლადიდება რომ გამოეფი-
ნათ, თუმცა ხელი არც ამისთვის
დაუკლიათ, სომხის მამულიშვილე-
ბი ფონს ვერ გავიდოდნენ, რადგა-

სამშაბათს, 20 ნოემბერს, ქართულ
თეატრის ფოიეში მოხდება ქრამბა
ქართულ დრამატულ საზოგა-
დოების განმავლობისა სხვა-და-
სხვა საქმეების განსახილველად.
კრებაზედ გარეშეთაც შეუძლიანთ
დასწრება.
(1—უ.—1)

ტიფლისის კერძო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი
უფასოა).
მიხაილ ვალდანიშვილისა.

ქუჩა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი
აბიანაშვილისა, № 21 (ვორონცო-
ვის ძეგლის პირდაპირ).

ტიფლისი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ :
ბ. ი. შინაგანი. კბილის სნეუ-
ლებანი, 8—10 საათ.
მიხაილ ვალდანიშვილი. ნე-
რვებისა და წამლობა ელექტრონით,
9—10 საათ.
კ. ბ. ფადოროვი. შინაგან და
ბავშვებისა. 9—10 ს.
ბ. ბ. ვალდანიშვილი. შინა-
გან; სამშაბათობით და ხუთშაბათო-
ბით, 10—11 საათ.
ბ. ა. მუხინი. ყურისა, ყელი-
სა და ცხვირისა—10—11 საათ.
ი. ვ. ახალაშვილი. კბი-
ლის სნეულდანი. 10—12 საათ.
ვაიფი-მალა ბ. ს. ბაძრაძე ბავ-
შვებისა—11—12 ს.
დ. ა. ვალდანიშვილი. ნერ-
ვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.
ბ. ბ. ბარსუკოვი. დედათა
სნეულდანი, ორშაბათობით, ოთხ-
შაბათობით და პარასკეობით 12—
1 საათ.

ი. დ. ბავთაბავოვი. სიფილისი-
სა, კანისა და საშარდესი, 1/2—2 ს.
ს ა ლ ა მ ო ბ ი თ :
ი. ნ. თუშანიშვილი. დედათა
სნეულდანი. 5—6 საათ.
კ. ბ. ფადოროვი. შინა-
გან და ბავშვების ავადმყოფობათა.
6—7 საათ.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ :
ბ. ბ. ვალდანიშვილი. 10—
12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთა-
ხები.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ.
ოპერაციები და კრაოტები—მორი-
გებით.

ინჟინერი

ვიორჯი დეკანოზიშვილი
მიიღებს შემდეგ საინჟინერო სა-
მუშაოს: 1) მადნეულობის გამოკ-
ველვა: ნავთისა, ქვა-ნახშირისა,
ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა; 2) წყლის გამოყენას სასმელად და
მამულების სარწყავად, 3) ექსპერ-
ტინას სადავო საქმეებში; 4) პლა-
ნების გაკეთებას და სხვა საინჟინე-
რო საქმეს.
ნახვა შეიძლება ყოველ-დღე 4—6
საათ, აღრესი: Георгиевская пло-
щадь, № 32. (8—6)

გამავლობა გურიის აზნაგოვის
„შუაგვლისა“
აცხადებს: რომელ წევრზედაც ით-
ვლება აბრეშუმის თესლის ან სხვა
ნისია რომელიმე წლისა, თუ არ
შემოიტანს ამა ნოემბრის გა-
სვლამდის, ვალი გამოერიცხება წი-
ლის ფულიდგან, წესდების და კრე-
ბის დადგენილების თანახმად, და არ

ნაც ძველთაგან ნაანდერძვე იხეთი არა ფერი გააჩნდათ, ვეროპას სანანელად გახდომოდა მისი უგულებელ ყოფა ან გადასვლა უღირსთა ხელში. ასეთი უპირატესობა და წინაპართა ღვაწლი კაცთა ნათესავის წინაშე მხოლოდ დიდებულ საბერძნეთს ჰქონდა და ვეროპამ კიდევ ახადა მას საზიზღარი უღელი მონობისა, ოსმალთაგან დაღმუღი. მაგრამ მასთან ფეხის გამოყოფა სომხეთს ხომ მეტირად გახდინდა და კუს ყოფაში ჩაადგებდა, ფეხი რა გამოჰყო, მეც ნახირხახირაო. აკი ამ გზას თავი დაანება და სხვას გამოუდგა.

ღიახ, დაიწყეს ჩივილი, განხდა ხმა მათი ქვეყნის ყოველ კიდესა მწვერლოდაში, თუ საერთა მორისო კრებაზე და რუს-ოსმალთა უკანასკნელის ომის დასასრულ ხომ ბერლინის კონგრესზე, თუ არ ვცდები, აწინდელის პატრიარქათა-ლიკაზის მიკირტი პირველის გარჯითა და მკაცრდინებით მოჰყვნენ ხელმწივრობის 61 მუხლში. ამის ძალით ოსმალეთი ვალდებული შეიქნა განეწყვისებინა გაბეგობა, სამართალი, თუ ფინანსი თავისი საბრძანებლის იმ პროვინციებში, სადაც სომხობა მოსახლობდა. ამ პირობის აუსრულებლობა გულს დააკლდათ სომხეთა მოღვაწე მამული მვიღებს, რომელთაც ჩივილს თუ არ უმატეს, არ უკლეს და ბოლოს ხომ განწყობილება მათ და ოსმალთა შორის და თვითონ მთავრობასთანაც ისე გაძწავდა და აირღირა, რომ ამბობებაც მოჰყვა და ზედ აკლება და ჟღერა სომხეთა, რომელთაგან რამდენიმე ათასი სული გაწყდა და დიდძალი რაოდენობა კიდევ მათი, ვინც გადარჩა, გადინებენ სხვა-და-სხვა ადგილებში და, სხვათა შორის, ჩვენ ქვეყანაშიაც შემოიჭრა.

ესლა როგორც „პეტერბურგსკია ვედომოსტის“ გაზეთი (№ 305) გადმოგვცემს, სომხის ზოღვაწე პუბლიცისტ ბ. არაქელიანს გლაზგოს მყიდობიანობის საერთა-შორისო კრებისთვის მოუხსენებია სომხეთა მდგომარეობა ოსმალეთში და განუცხადებია სომხეთა სახელით, ჩვენი სათხოვარია მხოლოდ მოიპოს ოსმალეთის სომხეთში მხეცური მტარვლობა, რომელიც სახელს უტყვის ვეროპას და ღემოდებულ იქმნას რეფორმის, პროექტი, რომელიც საფრანგეთის, რუსეთისა და ინგლისის დესპანებმა 1895 წ. მაისის 11 დღეს, ბერლინის კონგრესის 61 მუხლის თანახმად, შეიმუშავეს აზიის ოსმალეთის სომხეთის პროვინციებში შემოსაღებლად და რომელიც დამტკიცებულია თვითონ ხევთქრისაგანაო. რამ გამოიწვია მტარვლობა ოსალეთის მთავრობისა ქვემეგრდომის სომხის ერის მიმართ, ძნელი გამოსაცნობია. მაგრამ ვგონებთ, რომ ყოველივე სხვა მთავრობაც, ხელის გასამტკიცებლად, სასტიკ ღონის ძიებას მიმართავდა, თუ ვინმე წინააღმდეგობადა, მეტადრე მისი ქვემეგრდომი.

ბ. არაქელიანს აგრეთვე შეუჩივლია მშვიდობიანობის მოსაჩილე კრებისათვის, რომ ჩვენ არ ვთხოვლობთ ოსმალეთის სომხეთის თავადარსებას, თუ დამოუკიდებლობას, არც ახალის სომხეთის სამე-

ფოს დაფუძნებას და არც თუ კრიტიკებურ კონსტიტუციონურ გამგეობასაო. ეგებ ოსმალეთის სომხეთა საქმის განვითარებას ჰქონდა ასეთი მოთხოვნები, ხევთქრის უზენაესის ბატონობის და სახელმწიფო ინტერესთა საწინააღმდეგო და მაშინ ადვილი გასაგები და ასახსნელია ის თავზარ-დამცემი დევნულება, რაც სომხობამ გამოიარა ოსმალეთის ხელში, თორემ იმ სათხოვარს, რომელიც ბ. არაქელიანს მოუხსენებია გლაზგოს კრებისათვის და დამყარებულია ხევთქრის ხელ-მოწერილ 1895 წ. მაისის 11 დღის რეფორმის პროექტზე, როგორ უნდა გაეხეცებინა ისე ოსმალეთის მთავრობა, რომ სასიკვდილოდ გაიმეტა იმდენი ათასი სომხობა, სახელმწიფოსთვის ათასნაირად სარგო ელემენტი

არსებითად რეფორმის პროექტი უფრო მაჰმადიანებს ეხებათ, რადგანაც ივინი ოსმალეთის სომხეთში, რომელსაც ოსმალთა მთავრობა მხოლოდ ანატოლიად იცნობს, ორი მილიონით ჰქარბობენ ქრისტიანებსა. ეს ამბავი ჰსიანს თვითონ ოსმალთა მთავრობის სტატისტიკიდან, გამოაქვეყნა გერმანულმა ნეუე ფრეიე პრესესს გაზეთმა და იქიდან გადმობეჭდა „რუსკია ვედომოსტის“ 1894 წ. აპრილის 28 დღესა, № 115. აი სად რამდენი და რა რჯული მცხოვრები ყოფილა:

მაჰმად. ქრისტ.	
აზრ. ვილაეთში	501,000—131,500
ბითლისის . . .	254,000—135,000
მუშის	505,000—69,000
ვანის	241,000—80,000
ღერხინჯანის.	840,000—47,000
სულ	2,472,500—462,000

ძნელი მოსახლდომი არაა, ოსმალეთის მთავრობა რად უგულვებელ ჰყოფს ამ პროვინციების სომხობას, რომელთა გარდა სხვა რჯულის ქრისტიანებიც არიან კიდევ და ყველანი კი, რჯულ გარდა, ყველაფრით გაერთფერებულან მობატონე ოსმალეთთან. მაშასადამე, რეფორმა ხელ-საყრელი უფრო ოსმალეთისთვის იყო და, საკვირველია, რად განირდა ისე ფადიშას მთავრობა. ეგებ უმტკირესმა ქრისტიანობამ და, მათ შორის, სომხობამ უპირატესობა დაიჩემეს და ბატონობა განიზრახეს დიდძალ უმეტესობაზე, რომელსაც შეადგენდა მაჰმადიანობა, ხალიფასა და ისლამის გულისათვის თავდადებული. მაშინ ხომ კიდევ ადვილი ასახსნელია მაჰმადიანთა მძვინვარება, რამაც მუსრი გაავლო სომხობას და ჯერ კიდევ გულის ბუხარი არ ამოუყრია. ამ მხრით სომხეთა საქმე სწორეთ საშიშარია საზოგადო მშვიდობიანობისთვის და კარგი უნებებია ბ. არაქელიანს, რომ გამოდგარა ვეროპის წინაშე გამომტკელად ოსმალეთის სომხეთა გულის პასუხისა, რომელსაც მათივე მეზობელი ოსმალეთი თანაგრძობით მცხვდებთან და არც ოსმალეთის მთავრობა გაეცქვევა, რადგანაც ხსენებული პროექტი რეფორმისა უკუაყენებს ყოველ გვარ სატანჯველს, რომელიც სომხებს დაადგა და იწვევს მათ და ოსმალებს ადამიანებრ საცხოვრებლად.

ახლად დანიშნული საქართველოს მთავრობის შემადგენელი წევრები

როგორც დეპეშამ გვაცნობა, საქართველოს ექსარხოსი ფლობიანე დანიშნა ხარკოვის მთავარ ეპისკოპოსად, მის ადგილზედ ექსარხოსად გადმოყვანილ იქმნა ვიატიკის და სლობოდკის ეპისკოპოსი ალექსი.

ექსარხოსი ალექსი, ერის კაცობაში ალექსი ოპოკვი, ჰსკოვის ეპარხიდი. მ. არის. 62 წლისაა. 1863 წ. გაათავა პეტერბურგის სასულიერო აკადემია; 14 მაისს 1864 წ. დანიშნეს ვილნოს სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად, 1866 წ. მღვდლად აკურთხეს; 1870 წ. დანიშნეს ლიტვის სასულიერო კონსისტორიის წევრად; 1871 წ. დანიშნეს გროდნის საკრებულო ტაძრის წინამძღვრად და აკურთხეს დეკანოზად; 1872 წ. მიიღო ღვთისმეტყველობის ხარისხი; 15 ოქტომბერს 1891 წ. შეიმოსა მონაზონად, მიეცა არხიმანდრიტის ხარისხი და დანიშნა ლიტვის სასულიერო სემინარიის რექტორად. 30 ენკენისთვეში 1893 წ. უმაღლესად ებძანა ბალახნინის ეპისკოპოსად ყოფნა. 10 აგვისტოდამ 1896 წ. არის ვიატიკისა და სლობოდკის ეპისკოპოსად. აქვს ორდენები: წმიდა ვლადიმირის მე-3 ხარისხისა, მიღებული 1895 წ., და წმიდა ანასის 1 ხარისხისა, მიღებული 1899 წ.

ახალი ამბავი

ეს მესამე დღეა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საარწველო გამოყენის უმთავრეს საექსპერტო კომისიის სხდომები აქვს, რომ გამოყენის ყველა განყოფილებათა მტკირე კომისიების ოქმები განიხილოს ექსპონატების შემოწმების შესახებ. გამოყენა დაიხურება ხვალ, 21 ნოემბერს, ნაშუადღევს 1 საათზედ და უმთავრესი საექსპერტო კომისია გამოაცხადებს, ვის რა მიესაჯა ჯილდოდ და ექსპონატის რა ღირსება-თვისები-სათვის. გამოყენის დახურვიდან ექსპონატების პატრონებმა ერთის თვის განმავლობაში უთუოდ უნდა წაიღონ თავიანთი ნაწარმოებნი. ხოლო თუ ამ ერთს თვეზედ არ წაიღეს თავიანთი ექსპონატები, მაშინ ივინი სამეურნეო საზოგადოების საკუთრებად შეიქმნებიან.

ამ თვის 18-ს ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა პირველი კრება ახლად დაარსებულის ტფილისის ნოქართა საურთიერთო დამმარებელ საზოგადოების წევრთა. სულ დაესწრა 70 დამარსებული წევრი. კენჭის ყრამდე ერთხმად აირჩიეს საზოგადოების წევრად გ. გ. ადელხანოვი და გამგეობის წევრად კ. მ. აღიხანოვი. შემდეგ კენჭის ყრით აირჩიეს გამგეობის წევრებად: ა. რ. ქალანთაროვი, ა. იოანესიანი, ვ. პოტკოვი, ა. მირიანოვი, ვ. სინელნიკოვი, ტ. თუმანიანი, მ. ნ. თავალოვი და ბ. კრასნიანსკი; სარევიზო კომისიის წევრებად: კ. შირინიანი, ს. ა. შავერდიანი, ი. აკოფიანი და ვ. აკოფიანი.

შაბათს, 17 ნოემბერს, პოლიციის მე-7 ნაწილში, კახეთის მოედანზედ, რალაც ფულის ანგარიშს გამო წაიხზებენ სიღნაღის მცხოვრები ნიკოლოზ ქურდიშვილი და ტფილისის მოქალაქე ოპანეზ მელიმანიანი, რომელმაც ქურდიშვილი ჩხუბის დროს დანით დასჭრა ფეხში. ქრილობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ქურდიშვილი რამდენისამე საათის შემდეგ გარდაიცვალა მიხეილის სამკურნალოში. მკვლელობის საქმე პოლიციამ გამოძიებელს უკვე აცნობა. პოლიციის გამოკითხვით ქურდიშვილი ჯიბიერი ყოფილა და ამას წინად ქურდობისათვის დაუსჯია სასამართლოს.

დღეს, 20 ნოემბერს, ქართულ თეატრის ფოიეში კრება ექმნება ქართულ დრამატულ საზოგადოების გამგეობას. კრებაზედ გარეშეთაც შეუძლიანთ დასწრება. სხვათა შორის კრებას ლაპარაკი ექმნება ქართულ წარმოდგენებზედ ფასების დაკლების შესახებ. როგორც შევიტყეთ, გამგეობას გადაუწყვეტნია, თავისი მორიგ კრებებზედ, ზოგიერთ საყურადღებო საგნების განხილვის დროს, გარეშეთაც მისცეს ნება დასწრებისა და კამათისა, რათა ამ რიგად საზოგადოებას შეძლება ჰქონდეს ქართულ თეატრის საქმეებში მონაწილეობა მიიღოს ხოლმე.

ტფილისის სასულიერო სემინარიისათვის ახალ შენობის აგება იჯარით აიღო რუსეთიდან ჩამოსულმა იჯარადარმა იაკობოვიჩმა 310,000 მანეთად. შენობა უნდა აშენებულ იქმნას სამის წლის განმავლობაში დღიდგან პირობის შეკვრისა.

თელავის ქალაქის მოურავი ბ-ნი თათუზოვი გუბერნიის ადმინისტრაციამ დაამტკიცა თანამდებობაში.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკვე გადასცა პოლიციას გადასახდევინებლად სია იმ პირთა, რომელთაც საერობო და სახელმწიფო გადასახადები თავიანთ მამულებზე ნება-ყოფლობით არ შემოუტანიათ.

ფეიერვერკის ქუჩის მცხოვრებნი ჩივიან მათის ქუჩის დასაწყისის ყოველად უფარვისობაზე მათი სიტყვით, დღე ერთია და ურემების გადაბრუნება ქუჩის ოღროჩოღროებში ათი. ხან-და-ხან მეურმეებიც შავდებიან თურმე.

ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა კამპე-კომისიის მიმდინარე საქმეების განსახილველად შემდეგი სხდომა ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, ექმნება.

ქალაქის ტენიკოსმა ზურაბიანცმა ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობას 600 მან. სთხოვა არლოვის ქუჩის შესაკეთებელ-მოსაკირწყლავად.

ოსმალეთიდან გამოქცეულნი სომეხნი მარტო ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთს გუბერნიებს არ ეტანებიან: „Ноб. Орднр“-ს სიტყვით ისინი ჩნდებიან შავი-ღღის პირა გუბერნიისშიც, დ. სოქაშიაც, სადაც მათი რიცხვი ამ ბოლოს დროს თურმე თან-და-თან მრავლდება.

ნეტარ ხსენებულმა გაბრიელმა, იმერეთის ეპისკოპოსმა, უანდერძა ქუთაისის სასულიერო ოთხკლასიან სასწავლებელს 2500 მა-

ნეთი, რომლის წინაშეც მისი მოხმარდეს სხვა-სხვა წესების ღარიბი შევირდებს. დღეს ამ თანხის სარგებელი შედგამანეთი, რომელიც გადაეცა სხვებულ სასწავლებელთან მეფის ვით აღმაშენებლის სახელმწიფო დაარსებულ ძმობის გამგეობის (მწვევს).

დღეს, საღამოს 8 საათს ტფილისის ოლქის სასამართლო ნობაში დანიშნულია წლიური სხვა კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა. კრება გახლავს შემდეგს საგნებს: 1) სასწავლისტრაციო საქმეებს; 2) წარწლის ანგარიშებს ხაზინადრამდენისას რ ბიბლიოთეკის გასას; 3) მომავალ წლისათვის საზოგადოებაში მოსამსახურე პირთა ჩვეისას; და 4) მ. გრუხენბერგეფერატს „(Договорной стойк по проекту гражданго уложения“.

სამეურნეო საზოგადოების მოწონებული პროექტი ამხანაგბისა, რომლის წევრთაც არაღებ 36,000 მან. უნდა გამოიღონ რომ მომავალს 1902 წელს სამეურნეო გამოყენა კვლავ გაიხსნას ხულში, უკვე დაურთავდა სხვა სხვა პირთ ვასაცნობად და ხელმოსაწერად, თუ თანახმანი იქმნებიან. ამ ორს დღეში, როგორც შევიტყეთ, კარგა ბლომად მოკრიათ ხელი.

17 ნოემბრისათვის დანიშნული შეერთებული სხდომა ოლქის გამგეობისა და კომისიის მესამე სესხის ობლიგაციების ღონის ნიშნის შესადგენად არაღდა, რადგანაც კომისიის წევრნი დაესწრნენ.

ბაქოს რკინის გზის სადგურთის 17-ს მანევრების დროს მიხვდა (99 ვერს.) მისრე ილია გაბიანს ხელი დაშავებია.

სანჯაღლის სადგურიდან იწვიამ თვის 18 № 159 მატარებელ ორთქლ მავალი №№ 417 და 418 დატვირთულ და 51 ცალიერ ვაგონი რომ გადაჰყავდათ მესამე და მეოთხეზე, დაეჯახა მატარებელს № რომელიც მეორე გზაზე იდგა და ცდა რელსებს. ვაგონები დაზიანდნენ.

ამას წინად საგუბერნიო მკვლის ხელიმსკისათვის ვილაც ბორჯომურაველთ სხვა-და-სხვა ნივთები მონიათ. პოლიციამ უკვე შეიპყრა რომელიც დანიელ ცხოვრებაშვილი ჩენილა. ცხოვრებაშვილი პასუხის იქმნა მიცემული.

თეატრის მახინამ

„მტრავალი“ ისტორ. დრამა 5 მ. ლაზარიაშვილისა.

„ქარიშხალი“ მონოლ. ხუმრობა 1 მ.

ისტორიულმა დრამამ „მტრავალი“ დიდ-ძალი საზოგადოება და ქართულს თეატრში წარკვირას, 18 ნოემბერს თეატრის თქმის სავე იყო. შეიძლება უმთავრესი მიზეზი ფასების დედაც იყო. ქართულ დრამატ საზოგადოების გამგეობას ძიკარგი უნებებია, რომ ფასები კლია. ჩვენს თეატრში უმთავრეს ხელ-მოკლე ხალხი დაიარება დულერები ფასები ბევრის ხელ-მისაწვდომი არ არის. სასლია მხოლოდ, რომ გამგეობა გვერ მაინც უფრო შინაპრეისები წარმოადგინოს ხოლმე.

დაკლებით. „მტარვალი“ მეტად სუსტი დროა, არავითარი ღირსება არა აქვს ამ პიესას. წარმოსადგენად იგი ძნელია. ამ გვარ პიესებისათვის ჩვენ ღირს თეატრს არც დეკორაციები მოვთხოვთ, არც ტანისამოსი და არც სხვა რამ მოწყობილება. ამას გარდა ისეთ დრამას, როგორც „მტარვალი“, სადაც აუარებელი სტატისტიკა საჭიროა, დიდი მომზადება უნდა. უთუოდ ამ მიზეზების წყალობა იყო, რომ კვირას „მტარვალმა“ სუსტად ჩაიარა. ჩვენის თეატრის სიღარიბითვე აიხსნება ის გარემოება, რომ რეჟისორმა ახალციხელი მეომარი-გლეხნი, საქართველოს ჯარის მოსამწყვლეობად მოსულნი, ქულაჯებში გამოწყობილნი გამოიყვანა. ბევრი სხვა ნაკლიც შევამჩნიეთ ამ წარმოდგენას. მსახიობნიც სუსტნი იყვნენ; ბევრმა კარგად როლი არ იცოდა. ამისდა მიუხედავად, საზოგადოებას წარმოდგენა ძალიან მოეწონა. არტისტები მრავალჯერ გამოიხმეს და ხანგრძლივის ტანისცემით დააჯილდოვეს.

მხიარულად ჩაიარა ქ-ნ ტასო აბაშიძისა და ბ-ნ შათირიშვილის მონაწილეობით ვოდვეილი „პარიზ-ხალმა“.

შემდეგი წარმოდგენა, ხუთშაბათს, ბენფისია ახალგაზრდა ნიკიტიერ მსახიობ ქალის ტასო აბაშიძისა. წარმოსადგენად დანიშნულია ახალი პიესა „სანატრელი მეუღლე“ და კომედია „პარიჟელი კინტო“.

ჭიათურის ამბავი.

რომელი კუთხეც უნდა აიღოთ ჩვენს კურთხეულს საქართველოში, სიკეთესთან ზოგიერთი ახირებული ზნეც უთუოდ გვექირს ჩვენ ქართველებს. თუ რაიმე საზოგადო, ან საზიარალო საქმე გამოვაწყვეთ, ჯერ საქმის ასრულება გვექირს და თუ მოვესწარით როგორმე საქმის დაგვირგვინებას, თოფის წამალივით ვიფეთქებთ, უცბად აღტაცებაში მოვდივართ, ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარა აქვს; წარსული მთლად გვაგვიწყდება და მომავალზე არა ვფიქრობთ, — მაგრამ ბოლოს, რომ თვალს შევაჩვენებთ საქმეს, გულცივად ყურებას დაუწყებთ, თითქოს მოგვეწყინაო, სრულიად ვივიწყებთ.

ჩვენს მკითხველებს უთუოდ ეს-სომებათ, რომ ქიათურაში წელს ზაფხულს სახალხო თეატრის დაარსება განიზრახეს. შეიქნა ამის გამო ერთი მიწურ-მოწერა და მიტქმამოატქმა. შავის ქვის მწარმოებელთა კრების საბჭომ თეატრისთვის ქიათურაში შენობა დაიქირავა წელიწადში 500 მანეთად, მოაწყო „სკენა“, მოუზოვა საჭირო „დეკორაციები“ და სხვანი... ამისთან ერთად ორს თვეში ერთხელ იაფფასიანი წარმოდგენაც დაინიშნა საბჭოს ხარჯზედ, რომელიც ქუთაისის თეატრის კომიტეტმა იკისრა. გაიმართა ქართული წარმოდგენები. წარმოდგენებს ქუთაისის თეატრის აქტიორები მმართველდნენ ადგილობრივ სკენის მოყვარეთა დახმარებითა და მონაწილეობით. მოაწყდა ხალხი თეატრს და უცბად ისე მოუხშირეს, რომ ერთის თვის

განმავლობაში კვირაში 2—3 წარმოდგენა იმართებოდა. იმ დროს შავის ქვის წარმოება თითქმის შეჩერებული იყო, მაგრამ ქესატობას არ მიაქციეს ყურადღება და თეატრს ხალხი ბუზივით ეხვევოდა. ხალხი თეატრში სიარულს მიეჩნია. ზოგს მოსწყინდა და მოჰპებრდა კიდევ; იფიქრეს, თუ კვირაში ორჯერ-სამჯერ წარმოდგენებს დავესწარიო, ამ ქესატობაზედ ჯიბეს ძალა დაადგება და ვეღარ შევძლებთო. ასეთმა ხმაირმა წარმოდგენებმა თითქმის ერთს თვეს გასტანა. ის-კი სრულიად დანიშნულს ქიათურელებმა, რომ როგორც-კი ცოტა აცივდებოდა, ქალაქის მსახიობნი ისრევე ქალაქს მიატანდნენ, თეატრის „სეზონს“ შეუდგებოდნენ და ქიათურაში წარმოდგენების მართვით თავს აღარავინ შეიწყინდა.

მართლაც-და, აგერ გავიდა თითქმის სამი თვე და აქაურს თეატრში წარმოდგენა არა ყოფილა. ქალაქის არტისტებმა ისრევე ქალაქში გაიხინეს საქმე; ქიათურის სკენის მოყვარებებმა, უთანხმოებისა გამო, ერთხელვე ვერ შეადგინეს საკუთარი დასი, რომ ქიათურაში თავთავის დროზედ სადღელო და შესაფერი პიესები წარმოედგინათ ხოლმე...

არ იქნებოდა ურიგო, ვგონებთ, თავდაპირველადვე ადგილობრივ სკენის მოყვარეთაგან მსახიობთა დასი შეედგინათ, შემეშავებინათ რებერტუარი, გამოერკვიათ რომელი „პიესის“ წარმოდგენაზედ ისაქიროებდნენ გამოცდილს მსახიობსა და რომელზედ არა; ერთი სიტყვით, შინაური დასი გაეჩინათ და შემდეგ შესდგომოდნენ თეატრის შენობის მოპოვებასა და სკენის მოწყობას, თორემ ამდენი ხარჯი წავიდა თეატრის შენობის დაქირავებასა და სკენის მოწყობაზედ და წარმოდგენები-კი აღარ იმართება. ნეტავი, როდის ეღირსებია ჩვენი დაბა-სოფლები ქვემარტ წინსვლა-სა!..

წარსულის თვის 23-ს ადგილობრივ ტენიკურს კურსებზედ გამოცდა დაიწყეს. ეს კურსები ამ წლის 1-ს ივლისიდან გაიხსნა. საგზამენო კომიტეტს შეადგენდნენ: კავკასიის პირველი სამთო ოლქის ინჟინერი ბ-ნი აბრამ ცეიტლინი (ვითარცა თავმჯდომარე კომისიისა), ინჟინერები: კახაზი და მარკოვსკი (წევრნი). გამოცდის გადახდა მოსურვა სულ 30 კურსისტმა, რომელთაგანაც 19 კაცმა გაიმარჯვა: ილია მხეიძემ, იონა ბელიაშვილმა, ყარამან აბდუშელიშვილმა, ზარასპი გაჩეილაძემ, ბ. ლომაძემ, ტერენტი ქავთარაძემ, მათე იაკობაშვილმა, ბ. ლაბაძემ, კონსტანტინე ესაიაშვილმა, სიმონ გაბაშვილმა, ანდრია ქვარიანმა, ბ. პეტროვსკიმ, სიმონ ჩანჯუსინმა, იოსებ კოვალევსკიმ, პარმენ სანადირაძემ, სიმონ უგრებელიძემ, აკაკი ლორთქიფანიძემ, ნესტორ წერეთელმა და ანდრია კობიძემ. ყველა ამათ უფლება ეძლევათ სამთო და სამადნეულო „რაიონების“ მართვა-გამგეობისა, რაზედაც მოწმობები კიდევაც მიიღეს. მაგრამ ზემო ხსენებულმა ტენიკოსებმა, მოწმობების გარდა, კანონიერი ვეტილობაც უნდა აიღონ იმ შავის

ქვის მწარმოებლებისაგან, რომელნიც მათ თავიანთის სამადნეულო მამულების წესიერად დამუშავებასა და მართვა-გამგეობას მიანდობენ.

როგორც ზევით მოგახსენეთ, აღნიშნული სატენიკო კურსები ამ წლის 1-ს ივლისს გაიხსნა. სამეცადინოდ კვირაში სამი დღეა დაინიშნული. სულ რომ ვიანგარიშოთ, თვეში 12 დღეს მეცადინებენ კურსისტები. მასწავლებელ-ლექტორათ ინჟინერი ბ-ნი პეტრე ალაშის ძე მარკოვსკია, რომელმაც „პროგრამის“ გავლა 4 თვეში მოასწრო, ესე იგი, როგორც ზევით გამოვიანგარიშეთ, 48 დღეში გავულია სატენიკო კურსების პროგრამა. სწორედ დღეად გამოცდილი და დახელოვნებული უნდა იყოს პედაგოგი, რომ ასეთი საოცარი წარმატება გამოიჩინოს. რასაკვირველია, აქ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ბ-ნს მარკოვსკის საქმე ჰქონდა მსმენელ კურსისტებთან, რომელთაც საზოგადო კანათლება ჰქონდათ მიღებული ოთხ-კლასიან სასწავლებლებსა და გიმნაზიის 5—6 კლასებში, მაგრამ მაინც დიდი გამარჯვებაა. ვუსურვებთ ბ-ნს მარკოვსკის ასეთის საქმის წარმატებით დაგვირგვინებას მომავალშიც...

შავის ქვის მწარმოებელთა კრების საბჭომ საბოლოოდ გარდასწყვიტა ქიათურაში კერძო კაცებისაგან რვა ქვევა ადგილი შეისყიდოს სხვა რეს. საჭიროებისათვის, რაზედაც მილაპარაკება უკვე აქვს ადგილის პატრონებთან. საბჭომ მოიპოვა ეგრეთვე ადგილი, სადაც უკვე შეუდგნენ მუშებისათვის აბანოს გაკეთებას. კარგი იქნება, იაფი სახალილოც გაიმართებოდეს მუშებისთვის, რომელნიც სამიკიტნობში უთავბოლოდ ერთი-ამადა ჰხარჯავენ მწარე ოფლით ნაშოგარს ორიოდვე გროშსა და ცოლშვილს ხელცარიელს სტოვებენ...

ამ წლის 30 სექტემბრიდან აქაურს საკვირაო სკოლაში ჩვეულებრივად გაგრძელდა სწავლა. მოსწავლეების რიცხვი თან-და-თან ემატება. როგორც ვატყობთ, სწავლის მსურველი მეტად ბევრია, მაგრამ, სამწუხაროდ, შავის ქვის მამწარმოებლებს არა აქვთ დანიშნული, რა დროს უნდა მიიღონ კვირა დღეს ფული. ამის გამო მუშები ყოველ კვირაობით დიდიდგან საღამომდის შავი ქვის მწარმოებლების კანტორებში არიან ატუხულნი და ფულის მიღებას უცდიან. ამ ნიარად მუშები ჰკარგავენ საკვირაო სკოლისათვის თავისუფალს დროს, რაც დიდად აბრკოლებს მუშა ხალხის სკოლაში სიარულს. კარგს ინებებდნენ შავის ქვის მწარმოებლები, მუშებს ფულს ყოველ შაბათობით ურიგებდნენ. მაშინ მთელი კვირა დღე მუშები თავისუფალნი იქნებოდა და ერთგულად საკვირაო სკოლაში ივლიან. საკვირაო სკოლა დღემდის ადგილობრივის სამრევლო-საეკლესიო სკოლის შენობაში იყო მოთავსებული, დღეს-კი სატენიკო კურსების შენობაში გადაიტანეს მასწავლებლების თხოვნით და საბჭოს ნებართვით, რადგანაც საკვირაო სკოლას ეს შენობა უფრო შეეფერება.

ბ. ვაშაძე.

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

გაზ. „კვალი“ თავისს უკანასკნელ №-ის შინაურს მიმოხილვაში ეხება წარსულ „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა მართლაც დაუსრულებელს საზოგადო კრებასა და ერთს ჯგუფს ჩვენის ახალგაზრდობისას, რომელსაც სახელიად მართლა უმწიფი და ორკოფი დასი თუ დაერქმევა, სხვა არასფერი, რაც ასე ახასიათებს:

არა მარტო ძველისა და ახლის შეტაკებით შეიქნა საინტერესო ეს გაქიანურებული კრება. იგი საყურადღებოა ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ჯგუფის ფიზიონომიის გამოკვვეითაც. ეს არის ჯგუფი „ცნობის ფურცლისა“, რომელსაც არ უნდალა ძველს მიმხრობოდა, მაგრამ ვერც ახალგაზრდობის არსებულ წრეს დაკავშირებოდა, პირ-ქით მას უფრო მტრულად უყურებდა და ძველთან მეტი საერთო ჰქონდა. მაგრამ, როგორც იცით, თვით მათი კავშირიც შემთხვევითი ხასიათის იყო, გახეთშიაც ემჩნეოდათ შეუთანხმობა, და მოსალოდნელი იყო, პრაქტიკულ მოქმედებაში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდებოდა იგი და ასეც მიხდა. ჯგუფი ორ ნაწილად გაიყო: ახალგაზრდა ბებრები ბებრებს მიემხრენ, ხოლო ახალგაზრდობის და დამოუკიდებლობის მსურველებმა ბებრების ანტაგონისტებს გაუწიეს ცალი ხელი, მეორეთი კი ესენიც ბებრებს ჩასტივდებოდნენ, თუმცაღა დამოუკიდებლათ კი მოქმედებდნენ. რასაკვირველია, ეს შემთხვევა ჯერჯერობით ძალიან ცოტას გვეუბნება, მაგრამ თვით ეს დამოუკიდებლობის სურვილი და შემთხვევითი აკიდებული ამხანაგების ჩამოცილებაც ღირს-აღსანიშნავათ მიგვაჩინა და რამდენათაც მათი ფიზიონომია გამოირკვევა, იმდენათ უმჯობესია მათთვისაც და საზოგადოებისთვისაც.

პირადათ ჩვენთვის კი რამდენათ მარცხნივ დაიწვეს ეს ჯგუფი, იმდენათ სასიამოვნოა, თუცა ამის იმედი ჯერ ძლიერ მცირეა...

სრულიად სამართლიანად ახასიათებს გაზეთი ასეთს ორობას ჩვენის ახალგაზრდობის ერთის ჯგუფისას, მაგრამ იმედი, ვგონებთ, ვერ გაუმართლდება, რადგანაც, ვიცით, არსებითად ჩამოცილებულებისაგან არასფრით გაიჩნევიან...

„კვალთან“ ერთად ჩვენც სასიამოვნოდ დაგვიჩებოდა მათის ნამდვილ ფიზიონომიის გამოკვვევა, მაგრამ ვაი, რომ იმედი ჩვენ უფრო მცირედი გვაქვს!..

საბაასო

მცირე შენიშვნის მცირე განმარტება.

ბ-ნი გ. ლასხიშვალი „ცნობის ფურცლის“ მე-1642 ნომერში არწმუნებს მკითხველებს, რომ „ბ. ა. ყუმისთაველს არა სჯერა, რომ მექ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრად ვიყავი არჩეული და საზოგადო კრების დადგენილებას ეკამათებოა“. ჩვენ გადაჭრით და საბოლოოდ უნდა უპასუხოდა ბ. გ. ლასხიშვილს, რომ მართლაც არ გვეჯერა და არც დასაჯერებელია, ბ-ნი ლასხიშვილი საზოგადოების წევრად ყოფილიყოს ამ ოთხი თუ ზუთი წლის წინეთ არჩეული. ბ-ნი გ. ლასხიშვილის უმთავრესი საბუთი, ვითომც „საზოგადოების მდივნად ნამყოფმა, ბ. კარიჭაშვილმა, კატეგორიულად გამოაცხადა“, რომ ბ-ნი ლასხიშვილი წევრად იყო არჩეული და იგი

შეცდომითაა გამოტოვებული“ უნდა იქნას სიაში, სიმართლეს მტკიცებდა. ჩვენ ვამტკიცებთ და ბ-ნი დ. კარიჭაშვილიც უთუოდ დაგვემოწმება, რომ მას „კატეგორიულად“ არ მოუხსენებია საზოგადო კრებისათვის, რომ ბ-ნი ლასხიშვილი საზოგადოების წევრად არჩეულიყო. ბ-მა დ. კარიჭაშვილმა მხოლოდ ის განუმარტა საზოგადო კრებას, რომ, რადგანაც ბ-ნი გიორგი ლასხიშვილს საწევრო ფული არ ჰქონდა შემოტანილი, შესაძლოა ამის გამო არ იქმნა იგი მოთავსებული საზოგადო წევრთა სიაში. კიდევაც რომ ბ-ნი დ. კარიჭაშვილის მართლაც „კატეგორიულად“ განმარტებია კრებისათვის, რომ ბ-ნი გ. ლასხიშვილი საზოგადოების წევრად არჩეულიყო, ეს კიდევ არაფერს არ მოასწავებს, რადგანაც ამ გვარი „კატეგორიული“ განცხადება თხოულობს დამამტკიცებელ საბუთს, რომლის ასეთუ ისე აწონდაწონვა საზოგადო კრების საქმე იყო.

ჩვენ წინა წერილში დავამტკიცეთ, რომ საზოგადოების წლიურ კრების ოქმეში ბ-ნი ლასხიშვილის წევრობის შესახებ არავითარი ცნობები არ მოიპოვებათქო. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ საზოგადოების წლიურ პროტოკოლების შედგენის დროს ბ-ნი ლასხიშვილი შეცდომით იყვეს გამოტოვებულიყო. ესე ფიქრიც უსაფუძლო იქმნება, რადგანაც საზოგადოების კანცელიარის საქმეებში საესებით დაკულია ის „შავი სიები“, რომელშიაც ეწერებიან თვით საზოგადოების წლიური კრებების დღეს წევრობის მსურველნი და რომელთა საშეალებით შემდეგ სდგება თვით საზოგადო კრებების ოფიციალური პროტოკოლები. 1896 წლის „შავს სიაში“, რომელშიაც უსათუოდ აღნიშნული უნდა ყოფილიყო ბ-ნი გიორგი ლასხიშვილი, შემდეგი პირები არიან ჩამოწერილნი საზოგადოების წევრობის მსურველად: კნ. რუსუდან დიმიტრის ასული მელიქიშვილისა, ივანე ჯაფარიძე, დიმიტრი ხოშტარია, კან. თეთრაძე, ელ. ელიოზიშვილი, ელ. მქედლიშვილი, ანნა ყიფიანი, მარიამ ივანეს ასული დემურია, ეკ. დავითის ასული წულუკიძე, ივანე აბაშიძე, კან. ვეზირიშვილი, ნინო მირზაშვილისა, სოფიო იოსელიანისა და მარიამ დავითის ასული კნ. ჯავახიშვილისა. ყველა ეს პირები დასახელებულრიგზე შეტანილნი არიან ოფიციალურ საზოგადოების წლიურ პროტოკოლში. თუ დროებით წარმოვიდგენთ, რომ ოფიციალურ პროტოკოლში ბ-ნი ლასხიშვილი შეცდომითაა გამოტოვებულიყო, ყოველად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ დასახელებულ „შავ სიაში“ იგი შეცდომით იყოს გამოტოვებულიყო, რადგანაც ეს „შავი სია“ თვით საზოგადო კრების დღეს იწერება საზოგადოების წევრობის მსურველთა განცხადების მიხედვით. მეორე განმარტება ბ-ნი გ. ლასხიშვილისა, რომ მას არა ერთხელ მიუმართავს საზოგადოების მდივნებისთვის და, მათ შორის, ბ-ნი მიქაბერიძისათვის, გამოერკვიათ, წევრია იგი საზოგადოების თუ არა, ეს სრული ქვემარტებაა, ჩვენ და



ნამდვილებით ვიცი, რომ ბ-ნი გ. ლასხიშვილი მიმართა ბ-ნი ა. მიქაბერიძეს წარსულის 1899 წლის საზოგადო კრების შემდეგ მოხსენებულ კითხვის გამოსარკვევად, მაგრამ ბ-ნი მიქაბერიძეს მაშინ ეს საქმე საბუთების მიხედვით არ გამოუკვლევი და კიდევაც რომ გამოკვლია, აღმოჩნდებოდა, რომ ბ-ნი გ. ლასხიშვილი არ იყო წევრი არჩეული და, შესაძლოა იყო მხოლოდ ამა 4 ნომბერს. რაც შეეხება ბ-ნი ლასხიშვილის შესამე განმარტებას, რომ ბ-ნი პეტრე მირიანაშვილს 28 წარსულ ოქტომბერს მისთვის უთქვამს, საწევრო ფული შემოიტანე, ხელმოკრებდა არჩევ არ შეიძლებოდა, ამის გამო უნდა შევინინოთ, რომ ბ-ნი პეტრე მირიანაშვილს ძრიელ ცუდათ უნებება, საბუთების მიუხედავად, ამგვარი პასუხი მიუყვება ბ-ნი გ. ლასხიშვილისათვის. ყველა დასახელებულ უტყუარ ფაქტების მიხედვით ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვიყავით და კიდევაც ვართ, რომ ბ-ნი გიორგი ლასხიშვილს, როგორც 4 ამა ნომბერს გაწევრებულს, არავითარი უფლება არა ჰქონდა მონაწილეობა მიეღო არჩევანებში ამავე დღეს, და ამის გამო საზოგადო კრებას ბ-ნი ლასხიშვილის არჩევანებში მონაწილეობის მიღება კანონიერად არ უნდა ჩაეთვალოს. ამასთანავე არ შეგვიძლია არ დავსძინოთ, რომ ბ-ნი გიორგი ლასხიშვილი ძრიელ სცდება, ვითარცა ჩვენ, როცა ამ კერილის საბაბო საგანი აღვძარი „გამწვანებული კინკლაობა“ გესურვებოდეს, პირიქით—ჩვენი გულწრფელი სურვილი იყო მომავალი საზოგადო კრებები გარეშე ყოველგვარ გამოუკვლევლობის დაგვეყენებინა. გარდა თუ ამ აზრის დასასაბუთებლად ბ-ნი გიორგი ლასხიშვილის მოქმედებას შევხებით, ამით ჩვენ სრულიად ეჭვი არ გვგვრიტანია, ვითარცა ბ-ნი ლასხიშვილს რაიმე ბოროტ-განზრახვით ემოქმედოს, რადგანაც ამ მხრით ბ-ნი ლასხიშვილს არც ჩვენ და არც სხვა სრულიად არ იცნობს. ჩვენ მიერ ნაჩვენები საბუთები ყველასათვის აშკარაა, თვით ბ-ნი ლასხიშვილიც ვერ აღუდგება ამას წინ. ხოლო „კვალის“ უკანასკნელ ნომრის „მინაური მიმოხილვის“ ავტორს ჩვენი საბუთები არა სჯერა და უსაფუძვლოდ გაიძახის: „ბ-ნი მიქაბერიძე მონაწილეობას იღებდა მსჯელობაში და არ განუცხადებია, რომ გადაწყვეტილებას არ დემორჩილებოდა, ხოლო შემდეგ მონაწილეობა მიიღო კენჭის ყრაშიც და მით სრულიად დემორჩილა გადაწყვეტილებას“ და სხვა. ამის შესახებ ის უნდა შევნიშნოთ, რომ, გვანებ, საქმის ვითარება სრულიად არ მოითხოვდა, რომ რომელიმე სალიტერატურო ორგანო ცდილიყო ესა თუ ის პსევდონიმი გამოეყარავენინა.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ, და თვით შინაარსს დაუბრუნდეთ. თუ-კი „მინაური მიმოხილვის“ ავტორის სიტყვით „აღ. მიქაბერიძე ამტკიცებდა, რომ მეორე კრებაში მომხდარი არჩევანები უკანონოა, რადგანაც არა წევრებსაც მიუღია მონაწილეობა“, განა ამით

ბ-ნი მიქაბერიძეს ის არ განუმარტებია კრებისათვის, რომ ამის საწინააღმდეგო დადგენილებას მე არ დავთანხმებო! ჩვენ კი ასე ვმსჯელობთ და „მინაური მიმოხილვის“ ავტორის კი რა მოგახსენოთ. ასეც რომ არ იყვას, ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ წლიდან წლიურ კრების პროტოკოლში შეტანილი იქნება, რომ ბ-ნი მიქაბერიძე 4 ნომბერის გამგეობის არჩევნებს უკანონოდ სცნობდა, და ამ რიგად შედგენილ პროტოკოლზე ხელს მოაწერს კვალის „მინაური მიმოხილვის“ ავტორის კარგი ნაცნობი, გამგეობის ახლად არჩეული წევრიც. შემდეგ განაგრძობს პატივცემული ავტორი, „რომ კრებას აქვს უფლება ზოგიერთი მუხლი წესდებისა განმარტოს, როცა იქ რამე ნათლად არ არის გამოთქმული და ამის მიხედვით იმოქმედოს.“ ვისთვის და ან რისთვისაა აქ მოყვანილი ეს ანბანური ქვეყნობა?!

კარგი წესდების მუხლის განმარტებაა, თქვენმა წყალობამ, კაცი საზოგადოების წევრად არ ითვლებოდეს და საზოგადო კრებამ, გინდა არ გინდა, გააწევროს იგი! ამგვარი წესდების მუხლების განმარტების მომხრე ჩვენ არც ვყოფილვართ და თავის დღეშიაც ვერ ვიქმნებით.

ბოლოს „კვალი“ ირონიულად განმარტებს, რომ ბ-ნი მიქაბერიძე საზოგადო კრებებზე გამგეობის „გაწვრთნილი ვეკილი იყო“-ო. ბარაკალა „კვალის“ ოხუზჯობას! ბ-ნი მიქაბერიძე ვისი ან რისი ვეკილი იყო, ამას მომავალი დავთანხმებ, ხოლო ახლა კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, როცა „კვალის“ მებაიარაგონი, აწინდელ გამგეობის წევრნი, ბ-ნი მიქაბერიძისავე საზოგადოების საქმეთა ვითარებას გაიცნობენ, მაშინ სულ სხვა ნაირ კილოზე დაიწყებენ ბაბის და დღევანდელ გამგეობის „გაწვრთნილ ვეკილს“ მხოლოდ „საქმეთა ვეკილად“ მონათლავენ. ამის წინამორბედი ნიმუშები ეხლაც ხელთა გვაქვს. დღევანდელ გამგეობის წევრნი (დასვლები) პეტრე სურგულაძის ბავით თავდავიწყებით ამ ამტკიცებდნენ საზოგადო კრებაზე კავკავის სკოლის აწინდელ წესსკობილების სრულს უფარვისობას. როცა ამ აზრის მომხრენი გამგეობის წევრებად გახდნენ და საქმის ნაწილად ვითარებას ჩაუკვირდნენ, გაიცნეს საქმე ასე თუ ისე, კავკავის სკოლის გამგეს (რომლის თანამდებობის მომღას საზოგადო კრებაზე ასე ლამობდნენ), პართენ გოთუას, მისწერეს ტელეგრაფმა და სხვა წევრებთან ერთხმად სთხოვეს ხსენებულ პირს თავის თანამდებობაზე დარჩენა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ამას თხოულობს თვით საქმის ვითარება, თვით საქმის სარგებლობა, ხოლო თუ საზოგადო კრებაზე წინააღმდეგ აზრს ამტკიცებდნენ, ეს საქმის გაუცნობლობის გამო მოსდითათ. აი, როგორ დასკვნამდის შესაძლოა მივიდეს საქმის გაუცნობელი კაცი. მკითხველო, ოვიდიუსსაც, ვგონებ, არ მოეხიზრებოდა ვგრეთი მეტამორფოზა!..

ა. ყუმისთაველი.

დეკემბერი

(„რუსეთის დეკემბრის საგანგებო“).

17 ნომბერი.

კამბარაშვილი. 17 ნომბერს ცარსკოე სელოდან ჩამობრძანდნენ დელოვალი იმპერატორის ალექსანდრე თეოდორეს ასული და დიდი მთავრინა ელასაბედ თეოდორეს ასული და დაათვალიერეს საიმპერატორო პატრიოტულ საზოგადოების დედათა სკოლა, დაესწრნენ ამ სკოლის ახალ შენობის კურთხევის და შემდეგ დაათვალიერეს ფაიფურის საიმპერატორო ქარხანა.

ლონდონი. ამას წინად ტეკის ჰერცოგს უბედურება შეემთხვა: ჰერცოგი მელეპზე ნადირობდა; უეცრად ცხენი წამოვიდა ეკლიან მთაზე და დაეცა; ჰერცოგი ცხენიდან ჩამოვარდა; ჰერცოგს ტვინი შეერყა და გარდა ამისა თქოებიც მიძიმდა დაუშავდა. ექიმებს იმედი აქვთ, რომ ჰერცოგი რამდენიმე დღის შემდეგ მორჩება.

სამხატვროკლი. ზღვაში დიდი ღელევა; კავკასიიდან მომავალი გემები დღე ნახევრით იგვიანებენ. — გრადონახალნიკი აფრთხილებს მცხოვრებთ, რომ ფეოლოსიდან ბევრი ქურდი ჩამოვიდაო, და წინადადებას აძლევს პოლიციას—დაატუსალოს ისინი.

სიმშპროკლი. 1 ნომბერს დაიწყო მკვებანხეთა და მელვინეთა კრება; მოსაწილეობას „დეცის 50-ზედ მეტი მეურნე.“

ჰმლსინზმანისი. გენერალ-გუბერნატორი ფინლიანდის ჯარებს უცხადებს შემდეგ უმაღლესს ბრძანებას: 1902 წლის 1-ლი იანვრისათვის გაუქმებულ იქნას ფინთა ჯარების სათადარიგო რაზმი და ეხლავე დათხოვნილ იქნას თავის სხვათა ამ რაზმში მსახურნი, დათხოვნილ იქნას ჯარის-კაცები ფინლიანდის მსროლელთა რვა ბატალიონისა; დათხოვნის ვადა უშდა დანიშნოს ფინლიანდის გენერალ-გუბერნატორმა. ხსენებულ ბატალიონების აფიცრები დატოვებულ იქნას სამსახურში მხოლოდ მომავალ წლის 1-ლი მარტამდე. ფინთა ჯარების უფროსს ევალება ეხლავე შეუდგეს ვახსის, ულუბარგის და კუოპიოს ბატალიონების ჯარისკაცთა დათხოვნას. დანარჩენ ხუთის ბატალიონის ჯარის-კაცთა დათხოვნა მოხდეს მორიგეობით, ფინლიანდის მსროლელთა ბრიგადის უფროსთან შეთანხმებით.

პარშაპა. 20 ნომბერს ვარშავის სამოსამართლო ოლქში, ახალ სასამართლო დეპუტებათა შემოღებიდან 25 წლის შესრულების დღეს, მოხდება სასამართლოს მოღვაწეთა კრება.

კომპი. ქალაქის მოურავის შუამდგომლობის თანახმად, საექიმო ფაკულტეტზე 19 ნომბერს დაიწყებენ შავი-ქირის შესახებ უფასო ლექციების კითხვას ექიმებისათვის.

იჩაშისპი. 16 ნომბერს დაიწყო საიუბილეო დღესასწაული აღმოსავლეთ-ციმბირის გეოგრაფიულის საზოგადოების 50 წლის არსებობისა.

კიახტუში მოვიდა ტბეტის ექსპედიცია კოზლოვის მეთაურობით.

კამბარაშვილი. ბირჟა 16 ნომბერს. ტფილისის სათავად-აზნაურო სიადგილ-მამულა ბანკის 5%-ანი გირავნ. ფურცლები—887/8 გაყ. მანთაშევისა და აშხ. აქციები—158 გაყიდ.

18 ნომბერი.

კამბარაშვილი. შავი-ზღვის პირის გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი ტიხონოვი დანიშნულ იქნა დალესტინის ოლქის სამხედრო გუბერნატორად.

შავი-ზღვის პირის ვიცე-გუბერნატორი პოლკოვნიკი ვოლკოვი დანიშნულ იქნა შავის-ზღვის პირის გუბერნატორის თანამდ. აღმასრულებელად.

21 ნომბერს ხელმწიფე იმპერატორი პეტრე ბურგში დაესწრება ლეიბ-გვარდიის სემენოვის რაზმისა, ცხენოსან-საარტილერიო ბრიგადის პირველ ბატარეისა და საზღვრების დარაჯთა კორპუსის შეერთებულ როტის პარადს ამათ დღესასწაულის გამო.

კონსტანტინეპოლი შავის ჭირის გამო საშიშ ადგილად იქმნა აღიარებული.

19 ნომბერი

ისპაშსპი. 50 წლის იუბილეი საგეოგრაფიო საზოგადოების აღმოსავლეთ-ელიმბისის განყოფილებისა, დაიწყო საღვთსაწაულო პარაკლისით, რომელიც გადინდა არკელმა, თანადასწრებით მთავრობისა, განყოფილებას წვერთა, დებუტატთა და სასწავლებლების მოწვევთა, რომელნიც სწავლისაგან თავისუფალნი იყვნენ 17 ნომბერს. საშუალებების 1 საათზე ქალაქის თეატრში მოხდა საღვთსაწაულო საზოგადო კრება, გენერალ-გუბერნატორმა წაიკითხა დებემა სტატს-სეკრეტის კულომზინისა ხელმწიფე იმპერატორის მოლოცვით რომელიც მოსმენილ იქმნა აღტაცებით. არკესტრმა მასხულა ჰიმნი-დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის მიერ გამოგზავნილ დებემას, რომლის წაკითხვის შემდეგ გაისმა აღტაცებული ტაშის ცემა, მოჰყვა პრეობრავენსკის შარში. საგეოგრაფიო საზოგადოების საბჭოს დებე-მას, ვიცე-პრეზიდენტის სემენოვის მიერ გაგზავნილს, მოჰყვა ტაშის ცემა. თავჯდომარის მკოვეციკის სიტყვამ გასტანა 1/2 საათს, შემდეგ დაიწყო მიღება დებუტატთა, ასევე მეტისა და სამოცამდე დებე-მაციისა ტომსკიდან, კრასნოიას-სკიდან, მინუსინსკიდან, კიახტიდან. ტომსკის უნივერსიტეტმა გამოგზავნა პრაფესორი საპოქნიკოვი. აღრესები გამოგზავნილია უნივერსიტეტებისა, სამცხიერო საგოგადოებათა, მუზეებისა, საზოგადო დაწესებულებათა საბჭოთა და სხვათაგან. მიღებულია 200 დებემა. ჟიულ-ლიის სიტყვას მოჰყვა მარსელიეს, რომელიც ფენზე დგომით მოისმინეს. 7 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიმართა სადილი; წარმოთქმულ იქმნა მრავალი საღვთსაწაულო ექმნა შინაგანი საღვთსაწაულო ექმნა და ზოგიერთი კერძო სახლი შემკული იყო ბაიხალეებითა და საღამოთა გაჩაღდებული. მოსალოცი დებე-მები მიღებულია პარიჟიდან, ვენიდან, რომიდან და უცხოეთის სხვა ქალაქებიდან.

რომი. ფინანსთა მინისტრის ანგარიშის თანხმად, ბიუჯეტმა იმატა 45 მილიონით, გათვალისწინებულ 7 მილიონის დეფიციტის მაგიერ.

კონსტანტინეპოლი. მიღებულია *„მეცხე წყნარება“* ბიტლისისა და სასუნის მილამოგებ რამდენიმე შემთხვევა ყოფილია ძირმომრეობისა ქურთებისაგან სომეხ

ათინა. მიტროპოლიტი პროკოპი ამტკიცებს, სამსახურიდან დადგომა ჩემი კანონიერი არ არის ვინაიდან სინადათან არაოდეს ამიტკიცებულა სამსახურიდან დადგომის თხოვნით. ეს საგანი მეტაინტერესებს საზოგადოებას. მიერობამ გადაწყვეტა არ მისცენება, რომ მიტროპოლიტმა კლოიკოსროს თვისი თანამდებობა.

ლონდონი. ოფიციალურის ცნობით, 1902 წლის 1 იანვრის (ახლის სტილით) შემდეგ არავის მიცემა ნება კაპის ახალშენსა ან ნატალში მისვლისა საგანგებო წევრობითის ნებადაურთველად. ნებრთვის სისაღებად საქიროა მოწმობა სხვათა შორის იმისა, რომ მეზავრსკი აქვს არა ნაკლები ასის გირავნს სტერლინგისა ან საზოგადოდ შეესძლიან თავისის თავის შენახვად რომ საგანი მისის მოგზაურობით ინგლისის საწინააღმდეგო არ არის უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი მიიღებენ ამ გვარ მოწმობას თავიანთის საელოზსაგან ინგლისს ეს მოწმობა ნებას აძლევს მეზავრსკი მხოლოდ გადმოვიდეს საშბრეთ სირიის ნაპირზედა არას გზის ამ უზრუნველ ჰყოფს იმის უფლებამ ქვეყნის შუაგულ ადგილში მოგზაურობისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

22 ნომბერს, 1901 წელს, საღამოს 8 საათზედ, სოფელში ნარსინიან სასულიერო სამინარის საზოგადოების საზოგადოება საზარო ვაზაროპამ რომელზედაც 1902 წლის პირველ იანვრიდან იჯარით გაიციმა 21 ნომრისაგან შემდგარი ზემო სართული იმ შენობისა, სადაც დღემოთავსებულია „საზოგადოების ნორები“ (სასტუმრო) და სამი დუქანი, რუსის ქუჩისზედ, მე-3 ნაწილში. იჯარის პირობების ნახევი შეიღება სამზრუნველოს საბჭომ ყოველ დღე, კვირა-უქმებებს გარდა, დილის 10-დან შუადღის 1 საათამდე.

(2—240—1)

სოფელში სასულიერო ნარსინიან სამინარის საზოგადოების საბჭოში 28 ნომბერს, საღამოს 8 საათზედ, მოხდებდა საზარო ვაზაროპამ რომელზედაც იჯარით გაიციმა ოთხის წლის ვადით 1902 წლის პირველ იანვრიდან ტფილისის მე-VIII ნაწილში, რიყისზედ, არსებული სემინარის სადგომი ბაკით. იჯარას დღეს ეს სადგომი წელიწადში 1226 მანეთს იღებდა. პირობების გასინჯვა შეიღება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმებებს გარდა, დილის 10-დან ნაშუადღის 1 საათამდე.

(2—240—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო

ნაყარო პანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულა ბანკის მმართველმა, ბანკის წესდებს მე-11 წლის თანხმად, ამით აცხადებს, რომ დებე-მებს, რომელთა დადგენა, რომელიც ბერს ამა 1901 წლისა, ქ. ტფილისში